## სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

№ 138 § 1 20.08 2018 წელი

### საშემოდგომო სემესტრის შიდა საუნივერსიტეტო მობილობის, სტატუს შეწყვეტილ სტუდენტთა აღდგენისა და დამატებით (minor) პროგრამებზე სტუდენტთა შიდა მობილობისათვის პროცედურების წარმართვის შესახებ

2018-2019 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრის შიდა საუნივერსიტეტო მობილობის, სტატუს შეწყვეტილ სტუდენტთა აღდგენისა და დამატებით (minor) პროგრამებზე სტუდენტთა შიდა მობილობისათვის პროცედურების ორგანიზებულად წარმართვის მიზნით ვბრძანებ:

1. შიდა საუნივერსიტეტო მობილობა, სტატუს შეწყვეტილ სტუდენტთა აღდგენისა და დამატებით (minor) პროგრამებზე სტუდენტთა შიდა მობილობისათვის პროცედურები განხორციელდეს უმაღლესი განათლების საფეხურის ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესახებ“ მიხედვით და ამ მიზნით გამოყოფილი იქნას ვაკანტური ადგილები.
2. შიდა მობილობის წესით ვაკანტური ადგილების დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის უფლება მიეცეს სტუდენტებს სწავლების მეორე სემესტრიდან.

3. ვაკანტური ადგილების დაკავება მოხდეს კონკურსის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების მოთხოვნათა გათვალისწინებით, იმ პირობის დაცვით, რომ კონკურსანტის მიერ ერთიან ეროვნულ გამოცდაზე ჩაბარებული არჩევითი დისციპლინა აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის მიერ აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამისათვის განსაზღვრულ ერთ-ერთ არჩევით დისციპლინას, ხოლო მაგისტრატურის სტუდენტებს მობილობის უფლება წარმოეშობა მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებზე, რომელიც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

4. შიდა საუნივერსიტეტო მობილობისათვის, სტატუს შეწყვეტილ სტუდენტთა აღდგენისა და დამატებით (minor) პროგრამებზე სტუდენტთა შიდა მობილობისათვის განცხადებების მიღება წარიმართოს 2018 წლის 3 სექტემბრიდან 8 სექტემბრამდე, მობილობის ხელშეწყობისა და კრედიტების აღიარების სექტორში (ოთახი №1106) ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა.
მობილობის მსურველმა დადგენილი ფორმის განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:
ა) სასწავლო ბარათის (ნიშნების ფურცელი) ქსეროასლი, დამოწმებული ფაკულტეტის ბეჭდითა და ხელმოწერით;
ბ) ამონაწერი ბრძანებიდან საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის შესახებ;
გ) ცნობა ფინანსური სამსახურიდან საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ფინანსური ვალდებულების შესრულების მდგომარეობის შესახებ;
დ) პირადობის მოწმობის ასლი.

5. აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველმა პირებმა რეგისტრაციისათვის დადგენილი ფორმის განცხადებასთაბ ერთად უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:
ა) ატესტატის ასლი;
ბ) ერთიანი ეროვნული გამოცდების სერთიფიკატის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
გ) სასწავლო ბარათის (ნიშნების ფურცელი) ქსეროასლი, დამოწმებული სასწავლებლის ბეჭდითა და ხელმოწერით;
დ) ამონაწერი ბრძანებიდან საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის შესახებ;
ე) სამხედრო მიწერის მოწმობის ასლი;
ვ) მისამართი და ტელეფონის ნომერი;
ზ) პირადობის მოწმობის ასლი.

6. დამატებით (minor) პროგრამებზე შიდა მობილობის მსურველმა პირებმა რეგისტრაციისათვის უნდა წარმოადგინონ: ა) პირადობის მოწმობის ასლი; ბ) სასწავლო ბარათის (ნიშნების ფურცელი) ქსეროასლი, დამოწმებული სასწავლებლის ბეჭდითა და ხელმოწერით;

7. შიდა საუნივერსიტეტო მობილობისათვის, სტატუს შეწყვეტილ სტუდენტთა აღდგენისა და დამატებით (minor) პროგრამებზე სტუდენტთა შიდა მობილობისათვის განცხადებების განხილვა და შესაბამისი დასკვნების მომზადება საფაკულტეტო კომისიებმა უზრუნველყონ 2018 წლის 15 სექტემბრამდე.

8. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა (ასოც. პროფ. თ. კორძაძე) უზრუნველყოს შიდა საუნივერსიტეტო მობილობის,

სტატუს შეწყვეტილ სტუდენტთა აღდგენისა და დამატებით (minor) პროგრამებზე სტუდენტთა შიდა მობილობის წესით ჩარიცხვის ბრძანების მომზადება 2018 წლის 17 სექტემბრის ჩათვლით.

9. კანცელარიამ (ე. ცირეკიძე) და მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურმა (თ. ვალიშვილი) უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებისა და შიდა მობილობის წესით ჩარიცხვის ბრძანების, სტატუს შეწყვეტილ სტუდენტთა აღდგენისა და დამატებით (minor) პროგრამებზე შიდა მობილობის წესით ჩარიცხვის ბრძანებების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

რექტორი: პროფესორი გიორგი ღავთაძე